საქართველო თბილისი
არასამთავრობო ორგანიზაცია
“Helping Hand”

GEORGIA TBILISI
N G O
“Helping Hand”

2022/04 **12/08/2022**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ვასილ გველესიანი

ბატონო ვასილ,

გაეროს ბავშვთა ფონდი არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ჰელფინგ ჰენდთან'' პარტნიორობით იწყებს ახალ საგანმანათლებლო პროექტს: ,,მოხალისე წყლის ადვოკატები''.

პროექტის მიზანია მოზარდების უფლებების დაცვა და ხელშეწყობა უსაფრთხო სასმელ წყალზე. პროგრამის ფარგლებში მოზარდი მოხალისეები მიიღებენ შესაბამის ცოდნას უსაფრთხო წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ძირითად საკითხებზე და ადვოკატირების პრინციპებზე და ინსტრუმენტებზე, რათა მათ შეძლონ თავიანთ თემებსა თუ სკოლებში აღმოაჩინონ არსებული პრობლემები და მოახდინონ მათი გაუმჯობესების ადვოკატირება, ასევე უსაფრთხო ჰიგიენისა და სანიტარული ნორმების დაცვა.

პროექტი განხორციელდება სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიასა და აჭარაში. პროექტში კონკურსის გზით შეირჩევიან 13-დან 18 წლამდე ასაკის მონაწილეები, რომლებიც ,,მოხალისე ადვოკატებად'' გადამზადდებიან.

ინტენსიური სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მოზარდები განახორციელებენ ადვოკატირების კამპანიებს მენტორების ჩართულობით თავიანთ მუნიციპალიტეტებში და გამართავენ საინფორმაციო კამპანიებს. უსაფრთხო სასმელი წყალს, სანიტარიასა და ჰიგიენას საყოფაცხოვრებო გარემოსა და განსაკუთრებით სკოლის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა ჯანმრთელობისა და განათლებისათვის. ბავშვები დღის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებენ სკოლაში, ამიტომ ამ კუთხით მოზარდების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვა და პრობლემების აღმოფხვრა ქმნის შესაძლებლობას გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო გარემო და შემცირდეს საფრთხის შემცველ წყალთან და ჰიგიენასთან დაკავშირებული დაავადების გავრცელება. აღნიშნული ასევე ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs).

მოგმართავთ თხოვნით, თანამშრომლობისათვის, კერძოდ მოახდინოთ პროექტის მხარდამჭერა და თქვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოზარდებსა და ახალგაზრდებს მიაწოდოთ აღნიშნული კონკურსის შესახებ ინფორმაცია; შესაძლებლობის შემთხვევაში გამოაქვეყნოთ თქვენს სოციალური გვერდებზე, (FB, Web) რეგიტრაცია მიმდინარეობს ბმულზე: https://forms.gle/C6sKUvZ8KAeuCXaL6

პატივისცემით,

თინათინ მესხი

ჰელფინგ ჰენდის აღმასრულებელი დირექტორი

ქ. თბილისი, 0177, ალ.ყაზბეგის გამზ. 28, +995 551143595 ელ.ფოსტა: helpinghand.geo@gmail.com